



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
საჯარო სამართლის იურიდიული პირი  
ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსი

## ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1161/ს



17/07/2020

1161-11-4-202007171230

სახელმწიფო ტყის ფონდის ტერიტორიაზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს  
მიერ განხორციელებული სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული  
მერქენული რესურსის (სოჭის და ნაძვის ჯიშის I; II; III და IV ხარისხის  
მრგვალი ხე-ტყე (მორი) –სულ 125.95 - მ³ ) საკუთრებაში გაცემის მიზნით  
ელექტრონული აუქციონის (N374) (2) განმეორებით გამოცხადების შესახებ

საქართველოს მთავრობის 2010 წლის 20 აგვისტოს #242 დადგენილებით დამტკიცებული  
„ტყითსარგებლობის წესის“ 45-ე, 46<sup>1</sup>-ე, 47-ე, 48-ე, 52-ე მუხლების, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი  
რესურსების დაცვის მინისტრის 2016 წლის 26 დეკემბრის N50 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო  
სამართლის იურიდიული პირის - ეროვნული სატყეო სააგენტოს დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის  
„ვ“ ქვეპუნქტის, სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2020  
წლის 28 იანვრის დასკვნის N5000486920, სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის უფროსის 2020  
წლის 01 ივლისის N9578 სამსახურებრივი ბარათის და ფინანსური დეპარტამენტის უფროსის დროებით  
მოვალეობის შემსრულებლის 2020 წლის 10 ივლისის N10518 მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ ა:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი N374 სამეგრელო-ზემო სვანეთის სატყეო სამსახურის  
მართვას დაქვემდებარებულ მესატიის სატყეო უბნის, ჯორველის სატყეოს N55 კვარტალში, (ლიტერი 16)  
სპეციალური ჭრების შედეგად დამზადებული 125.95 მ³ წიწვოვანი სახეობების (სოჭის და ნაძვის ჯიშის I;  
II; III და IV ხარისხი) მერქენული რესურსის - მრგვალი ხე-ტყის (მორის) საკუთრებაში გაცემასთან  
დაკავშირებით.

2. აუქციონის ჩატარების პირობები და წესი, აუქციონში მონაწილე პირის ზოგადი უფლება-  
მოვალეობები და აუქციონის პირობები განისაზღვრება ამ ბრძანების დანართი N1 და დანართი N2-ის  
შესაბამისად.

3. დაევალოს ფინანსურ დეპარტამენტს სსიპ „საქართველოს ფინანსთა სამინისტროს  
მომსახურების სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.eauction.ge](http://www.eauction.ge) ინფორმაციის განთავსება;

4. დაევალოს სააგენტოს სტრატეგიული დაგეგმისა და განვითარების სამსახურს სსიპ „ეროვნული  
სატყეო სააგენტოს“, ვებგვერდზე - [www.forestry.gov.ge](http://www.forestry.gov.ge) ინფორმაციის განთავსება;

5. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ორგანოში - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში (ქ. თბილისი. მარშალ გელოვანის გამზ. #6) კანონმდებლობით დადგენილი წესით.

არჩილ ნიკოლეიშვილი



სააგენტოს უფროსი